MOORE

MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str.,
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

<u>შეთანხმებული პროცედურების ანგარიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს შესახებ, ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებებთან დაკავშირებით</u>

ჩვენ განვახორციელეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი **შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“ (შემდგომში კლუბი)** მიერ ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ჩამოყალიბებულია ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების ცხრილში **(იხ. დანართი 1)**. ჩვენი დაქირავება მოხდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის (ISRS 4400 გადასინჯული) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად დაქირავებისას. ჩვენ არანაირ განცხადებას არ ვაკეთებთ შეთანხმებული პროცედურების შესაბამისობასთან დაკავშირებით. პროცედურები განხორციელდა უშუალოდ საფეხბურთო კლუბისთვის მის სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით და შეჯამდა შემდეგნაირად:

სამუშაოს მოცულობა

ჩვენი სამუშაო შედგებოდა შემდეგი პროცედურებისგან:

1. ტრანსფერების ცხრილში მოცემული ჯამური თანხის შეჯერება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან.

2. ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება.

3. ყველა ან გარკვეული რაოდენობის ფეხბურთელების ტრანსფერის/იჯარის შერჩევა, შესაბამისი ხელშეკრულებების შედარება ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული ტრანსფერების/იჯარის მონიშვნა.

4. ტრანსფერის ყველა გადახდის ან შერჩევითი შემოწმება, რაც მოიცავს მათ შედარებას ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან და შერჩეული გადახდების მონიშვნას.

5. თუ, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით არსებობს გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება გასული წლის 2025 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებულ ტრანსფერს, უნდა გაირკვეს 2026 წლის 31 მარტამდე:

   (i) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ; ან
   (ii) ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი; ან
   (iii) გატარდა თუ არა ყველა გონივრული ზომა დანართის შესაბამისად

6. გადახდასთან დაკავშირებულ ყველა ან შერჩევით საბანკო ამონაწერების შემოწმება.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

ქვემოთ გიდგენთ ანგარიშს ჩატარებული პროცედურების და შედეგების შესახებ:

1. ტრანსფერების ცხრილში **(დანართი 1)** მოცემული ჯამური თანხა შევაჯერეთ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასთან. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

2. ჩვენ შევამოწმეთ ტრანსფერების ცხრილის არითმეტიკული სიზუსტე. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

3. ჩვენ დავადგინეთ რომ, 2025 წელს იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, კლუბში განხორციელდა ორი ფეხბურთელის ტრანსფერი/იჯარა. შესაბამისად, მოვიძიეთ ფეხბურთელის ტრანსფერის/იჯარის ხელშეკრულებები (**დანართი 2** და **დანართი 3**). დავადგინეთ, რომ ერთი იჯარა (დავით გოცირიძის იჯარა) წარმოადგენს უსასყიდლო იჯარას, ხოლო მეორე ტრანსფერის (გია ნადარეიშვილის ტრანსფერი) სატრანსფერო ღირებულება ჯამურად შეადგენს 45,000 ლარს, თუმცა 2025 წლის განმავლობაში გადასახდელი სატრანფერო თანხა განსაზღვრულია 10,000 ლარის ოდენობით (დანარჩენი 35,000 ლარი განაწილებული არის 2028 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე). 2022 წელს კლუბში განხორციელდა გიორგი ბედიაშვილის ტრანსფერი, რომელზეც მოვიპოვეთ 2022 წლის წლის 20 ივლისის სატრანსფერო შეთანხმება 14,000 ლარზე (**დანართი 4**). აღნიშნული მონაცემები შევუდარეთ ტრანსფერების ცხრილში მოცემულ ინფორმაციას. შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

4. მე-4 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტრანსფერების ცხრილში წარმოდგენილი სამი ტრანსფერიდან/იჯარიდან ერთი არის უსასყიდლო, მეოთხე ტრანსფერის ვალდებულება 10,000 ლარის ოდენობით დაფარულია 2025 წლოს 01 აპრილის გადახდით (**დანართი 5**) (აღნიშნულ გადახდასთან დაკავშირებით გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი N-1, რომლის თანახმადაც გადახდილია 10,000 ლარი (**დანართი 6**)), ხოლო მესამე ტრანსფერის ვალდებულება 14,000 ლარის ოდენობით არ დაფარულა, შესაბამისად მესამე ტრანსფერის შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა შეუსაბამოა.

5. მე-5 საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით, არსებობს გადახდის ვალდებულება 14,000 ლარი (გიორგი ბედიაშვილის ტრანსფერი) რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის განხორციელებულ ტრანსფერს. ვინაიდან ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი ვალდებულების დაფარვის განსაზღვრული თარიღი, მხარეებს შორის დამატებითი შეთანხმება არ გაფორმებულა.

6. მე-6 საკითხთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ 2026 წლის 31 მარტის მდგომარეობით გადახდა არ ყოფილა შესაბამისად აღნიშნული პროცედურა შეუსაბამოა.

ამას გარდა, ანგარიშს თან ერთვის 2026 წლის 17 თებერვლით დათარიღებული წერილი #79 საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის ცნობილი არ არის სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანების ან დავების არსებობის შესახებ **(დანართი 7)**.

რადგანაც ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს მარწმუნებელ გარიგებას, შესაბამისად ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებულებას ტრანსფერებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რომ განგვეხორციელებინა დამატებითი პროცედურები, ან ჩაგვეტარებინა აუდიტი ან მიმოხილვა აუდიტის ან მიმოხილვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ყურადღება გაგვემახვილებინა სხვა საკითხებზე, რაზეც დამატებით მოგახსენებდით.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კლუბისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) შესაბამისად.

ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს (ხმსს) 1-ს– „ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“. შესაბამისად, ფირმაში მოქმედებს ხარისხის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, მათ შორის დამტკიცებული დოკუმენტურად გაფორმებული პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ეხება ეთიკური მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენი მოხსენება ისახავს მხოლოდ წინამდებარე ანგარიშის პირველ პარაგრაფში მოცემულ მიზანს და განკუთვნილია მხოლოდ თქვენი ინტერესისთვის და არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. წინამდებარე ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება **შპს „საფეხბურთო კლუბ გაგრა“-ს** რომელიმე ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

23 თებერვალი, 2026
თბილისი, საქართველო

დანართი 1 - ტრანსფერების ცხრილი

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

სულ ფურცლ.		მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					ტრანსფერის სომა (ათასი, მილი, აბაზი, ცენტ. ან.)	ფეხბურთელის რეგისტრაციის პირველადი დანახარჯები (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)						31.12.T-1 მდგომარეობით გადასახდელი თანხა		31.12.T-1 დაკანონებიდან 3 წლის განმავლობაში ამორტიზაციის ჯამური თანხა (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)
1-18		სახელი	გვარი	დაბადების თარიღი (DD/MM/YYYY)	ტრანსფერის / იჯარის ხელშეკრულების თარიღი (DD/MM/YYYY)	კრედიტორი კლუბი		ფეხბურთელის ტრანსფერი / იჯარა	ფეხბურთელის ტრანსფერ / იჯარასთან დაკავშირებული ადვოკატის, მენეჯერის, ტალანტ სკაუტის ან ტრანსფერ / იჯარა აგენტის ანაზღაურება	ფეხბურთელის ტრანსფერ / იჯარასთან დაკავშირებული ექიმებისა და ტრანსფერ / იჯარა კლინიკის ანაზღაურება	ფეხბურთელის ტრანსფერ / იჯარასთან დაკავშირებული ადგილობრივ / საერთაშორისო ფასიანი ტურნირებში მონაწილეობა	ფეხბურთელის ტრანსფერ / იჯარასთან დაკავშირებული სხვა	ტრანსფერის / იჯარის ფასდაკლება	ტრანსფერის / იჯარის ფასდაკლების ნაშთი (ანგარიში)	
ფეხბურთელი 1		გიორგაძე	დავითი	06.09.2004	15.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი"	0									
		ნაცარეიშვილი	გია	03.03.2005	24.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი ჩაჩარეთის ჭარმა"	15000									
		ბედიაშვილი	გიორგი	21.06.2005	20.07.2022	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი"	14000							14,000.00	14,000.00	
ფეხბურთელი 2																
ფეხბურთელი 3																
ფეხბურთელი 4																
ფეხბურთელი 5																
ფეხბურთელი 6																
ფეხბურთელი 7																
ფეხბურთელი 8																
ფეხბურთელი 9																
ფეხბურთელი 10																
ფეხბურთელი 11																
ფეხბურთელი 12																
ფეხბურთელი 13																
ფეხბურთელი 14																

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

ხელ ფურც.

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცემული თანხა (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)			28.02.T მდგომარეობით გადასაგებული თანხა (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)					თანხები, რომლებიც არ იყო გადასახდელი / გადავადებული [იმთავითვე 28.02.T შემდგომ გადახდის თარიღები] (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)			მთლიანი გადასახდელი თანხა 28.02.T მდგომარეობით		სადავო თანხ (ტრანსფერ
1-18	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ტრანსფერის / იჯარის ხელშეკრულების თარიღი [DD/MM/YYYY]	კრედიტორისა კოდი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
დებიტორი 1	გიორგიძე	დავითი	06.09.2004	15.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი თბილისი"														
	წაფარიშვილი	გია	03.03.2005	24.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი ქუთაისის ჭარმა"														
	ბედიაშვილი	გიორგი	21.05.2005	20.07.2022	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი თბილისი"														
დებიტორი 2																			
დებიტორი 3																			
დებიტორი 4																			
დებიტორი 5																			
დებიტორი 6																			
დებიტორი 7																			
დებიტორი 8																			
დებიტორი 9																			
დებიტორი 10																			
დებიტორი 11																			
0																			

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი ფაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

ხელ. ფურ.

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით ის / თებერვის ვალუტაში)
1-18	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ტრანსფერის / იჯარის ხელშეკრულების თარიღი [DD/MM/YYYY]	კრედიტორი კლუბი	სადავო სესხის რეკვიზიტები და ყველა მონაწილე მხარის პირადობის მოკლე აღწერა .
დასაბამიდან 1	ციციშვილი	დავითი	06.09.2004	15.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი ლიონი"	
	ჩაფარიძეშვილი	გია	03.03.2005	24.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი ჭაბუკიანის ჭარხანა"	
	ბედოიაშვილი	გიორგი	21.06.2005	20.07.2022	მპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი ლიონი"	
დასაბამიდან 2						
დასაბამიდან 3						
დასაბამიდან 4						
დასაბამიდან 5						
დასაბამიდან 6						
დასაბამიდან 7						
დასაბამიდან 8						
დასაბამიდან 9						
დასაბამიდან 10						
დასაბამიდან 11						
*						

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ანგარიშგების წელი T-1	2025
მიმდინარე წელი T	2026

1-18	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომლებიც გადახდილ იქნა 31.03.T-თვის (ტრანსფერის / ოჯარის ვალუტაში)			28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომელიც გადავადებულ იქნა 31.03.T-თვის (ტრანსფერის / ოჯარის ვალუტაში)					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომელზეც აღძრულია დავა 31.03.T-თვის			
	სახელი	სახელი	დაბადების თარიღი (DD/MM/YYYY)	ტრანსფერის / ოჯარის ხელშეკრულების თარიღი (DD/MM/YYYY)	კრედიტორი კლუბი	ტრანსფერიდან ჯამური	ტრანსფერის თარიღი (DD/MM/YYYY)	ოჯარიდან ჯამური	ოჯარიდან ჯამური	ოჯარის თარიღი (DD/MM/YYYY)	ოჯარიდან თარიღი (DD/MM/YYYY)	ოჯარიდან ჯამური	ტრანსფერის / ოჯარის ხელშეკრულება	ტრანსფერის / ოჯარის ანგარიში	საფეხბურთო რეგულაციები და ყველა მონაწილე მხარის პოზიციის მიუხედავად	
ფეხბურთელი 1	ბოლოქაძე	დავითი	06.09.2004	15.02.2025	შპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი ლიბერთი"												
	ნაფარეიშვილი	გია	03.03.2005	24.02.2025	შპს "საფეხბურთო კლუბი ბარსელონას მეჩანი"												
	ზედგინიძე	გიორგი	21.06.2005	20.07.2022	შპს "საფეხბურთო კლუბი თბილისი ლიბერთი"												
ფეხბურთელი 3																	
ფეხბურთელი 4																	
ფეხბურთელი 5																	
ფეხბურთელი 6																	
ფეხბურთელი 7																	
ფეხბურთელი 8																	
ფეხბურთელი 9																	
ფეხბურთელი 10																	
ფეხბურთელი 11																	
0																	

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

სულ ფურცელ.	მოთამაშეები ფეხბურთელის მონაცემები					31.03.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები					კომენტარი	
1-18	გვარი	სახელი	დაბადების თარიღი (DD/MM/YYYY)	ხელშეკრულ. / ლიცენზიის ვადის თარიღი (DD/MM/YYYY)	კლუბი/ასოციაცია	ტრანსფერული / ლიცენზიის ვალები	ანგარიშგებლ. პერიოდში (ლარში)	ოპერაციული თარიღი (DD/MM/YYYY)	ბიზნეს-მოდელი (ტრანსფერის / ლიცენზიის ვალები)	ბიზნეს-მოდელი (ანგარიშგებლ. პერიოდში ტრანზაქციების ტიპი)		[illegible]
ფეხბურთელი 1	ციციშვილი	დავითი	06.09.2004	15.02.2021	მპს "საფეხბურთო კლუბი ოქროსები ფანატები"							
	ნაფარეთაშვილი	გია	03.03.2005	24.02.2025	მპს "საფეხბურთო კლუბი მარტვილის ჭარაული"							
	ბედოიაშვილი	გიორგი	21.06.2005	20.07.2022	მპს "საფეხბურთო კლუბი ოქროსები ფანატები"							
ფეხბურთელი 2												
ფეხბურთელი 3												
ფეხბურთელი 4												
ფეხბურთელი 5												
ფეხბურთელი 6												
ფეხბურთელი 7												
ფეხბურთელი 8												
ფეხბურთელი 9												
ფეხბურთელი 10												
ფეხბურთელი 11												
●												

3

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

1-18	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					ტრანსფერის ალიანსი (FIFA, UEFA, GFF, +,-,X)	ფეხბურთელის რეგისტრაციის პირდაპირი დანახარჯები (ტრანსფერის / ფულის ჯილდოებში)						31.12.T-1 მდგომარეობით გადასახდელი თანხა		31.12 დეკემბრიდან 28 თებერვალამდე (ტრანსფერი / ფულადი ჯილდოებში)
	სახელი	სახელი	დაბადების თარიღი (DD/MM/YYYY)	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობა თარიღი (DD/MM/YYYY)	ეროვნული კოდები		ფეხბურთელის ტრანსფერის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი (ტრანსფერის)	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი (ტრანსფერის)	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი - კომისიონერი	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი - ბენეფიციარი	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი - ბენეფიციარი	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი	ფეხბურთელის / ოჯახის ფეხბურთელობის ფიზიკური ან იურიდიული პირი	
დებიტორი 11												-			
												-			
												-			

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი ბაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

ხულ ფერე-

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხა (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)			28.02.T მდგომარეობით გადავადებული თანხა (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)					თანხები, რომლებიც არ იყო გადასახდელი / გადავადებული [იმთავითვე 28.02.T შემდგომ გადახდის თარიღები] (ტრანსფერის / იჯარის ვალუტაში)			მთლიანი გადასახდელი თანხა 28.02.T მდგომარეობით		სადავო თანხ (ტრანსფერ
1-18	ფული	სპორტი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ფეხბურთელის / ოჯახის [DD/MM/YYYY]	კრედიტორი ელემენტი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
ფეხბურთელი 12																			
ფეხბურთელი 13																			
ფეხბურთელი 14																			
ფეხბურთელი 15																			
ფეხბურთელი 16																			
ფეხბურთელი 17																			
ფეხბურთელი 18																			

[illegible] [current & non current]

ლიცენზიის მაძიებლის დადასტურება

[illegible] ლიცენზიის მაძიებლის [illegible] [illegible] [illegible]

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

შპს "საფეხბურთო კლუბი ბაგრა"

ანგარიშგების წელი T-1 2025

მიმდინარე წელი T 2026

ს/ფ ფორმ.	მონაცემები ფეხბურთელების მესამეებ					28.02.T მდგომარეობით ის / ოქტომბრის ვალუტაში)
1-18	სახელი	სახელი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ტრანსფერის / ოქმის ხელშეკრულების თარიღი [DD/MM/YYYY]	კრედიტორი კლუბი	საბალანსო ბალანსის მონაცემები და ყველა მოსაზღვევე შესაბამის ეროვნული ბანკის ოფიციალურ ანგარიშ
ფებრუარი 12						
ფებრუარი 13						
ფებრუარი 14						
ფებრუარი 15						
ფებრუარი 16						
ფებრუარი 17						
ფებრუარი 18						
ჯამი						

ლიცენზიის მაძიებლის ფინანსური

ვადებამაბოლოდ 2025 _____ [თარიღი] 23.02.2026

ხელმოწერა

დაბეჭდილია ელექტრონული ფორმიდან

ლიცენზიის მაძიებლის ხელმოწერამდე შეიცვალა ბალანსი ან ფინანსური დასაბუთებულობა

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

შპს "საფეხბურთო კლუბი ბაგრა"

ანგარიშგების წელი T-1: 2025

მიმდინარე წელი T: 2026

ხულ ფურ.

	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომელიც გადახდილი იქნა 31.03.T-თვის (ტრანსფერის / იჯარის ჯალუტაში)			28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომელიც გადაუვადებელ იქნა 31.03.T-თვის (ტრანსფერის / იჯარის ჯალუტაში)					28.02.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები, რომელზეც აღძრულია დავა 31.03.T-თვის			
1-18	დასახელება	სახელი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ტრანსფერის / იჯარის ხელშეკრულების თარიღი [DD/MM/YYYY]	კრედიტორი კლუბი	ფიფა-ს ბალანსი [DD/MM/YYYY]	ფიფა-ს ბალანსის თარიღი [DD/MM/YYYY]	მიზეზი: ფიფა-ს ბალანსი	ფიფა-ს ბალანსი [DD/MM/YYYY]	ფიფა-ს ბალანსის თარიღი [DD/MM/YYYY]	ბალანსი [DD/MM/YYYY]	ბალანსის თარიღი [DD/MM/YYYY]	მიზეზი: ფიფა-ს ბალანსი	ტრანსფერის / იჯარის ხელშეკრ.	ბალანსი [DD/MM/YYYY]	საბაჯო სასჯელის რეკვირიტები და ყველა მონაწილე მხარის პოზიციის მოკლე აღწერა	მიზეზი: [DD/MM/YYYY]
დასმულია 12																	
დასმულია 13																	
დასმულია 14																	
დასმულია 15																	
დასმულია 16																	
დასმულია 17																	
დასმულია 18																	
სულ:																	

ლიცენზიის მაძებნელის ფინანსური მონაცემები

ვადაგადაცილებული ვალი, ლიცენზიის მაძებნელის ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტებში მოძიებული ინფორმაციის სიმებრივ:

[ხელმოწერა]

[თარიღი] 23.02.2026

დამოწმებულია: ფეხბურთის ფედერაციისაგან

ლიცენზიის მაძებნელის ხელმოწერა/ბეჭდის ნიმუში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ტრანსფერების კრედიტორული ცხრილი 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდისთვის: T-1: 31 დეკემბერი / T: 28 თებ

ლიცენზიის მაძიებელი

მპს "საფეხბურთო კლუბი ბაგრა"

ანგარიშგების წელი T-1	2025
მიმდინარე წელი T	2026

1-18	მონაცემები ფეხბურთელის შესახებ					31.03.T მდგომარეობით ვადაგადაცილებული თანხები					კომენტარი	
	დასახელება	სახელი	დაბადების თარიღი [DD/MM/YYYY]	ფასიანი/უფასო ტრანსფერის თარიღი [DD/MM/YYYY]	ტრანსფერის კალენდარული	ტრანსფერის / ვადაგადაცილების [კალენდარული]	ვადაგადაცილების [კალენდარული]	ტრანსფერის თარიღი [DD/MM/YYYY]	[illegible]	[illegible]		[illegible]
დასახელება 12												
დასახელება 13												
დასახელება 14												
დასახელება 15												
დასახელება 16												
დასახელება 17												
დასახელება 18												
სულ												

ლიცენზიის მაძიებლის დადასტურება:

ფეხბურთელთა ვადაგადაცილებული ვალების ანარიცხვა/ფასიანი ტრანსფერებიდან მიღებული ნებადართული ინფორმაციის სისტემაში.

[თარიღი] 23.02.2026

[ხელმოწერა]

დირექტორი/ფინანსურ დირექტორი

ლიცენზიის მაძიებლის ხელმოწერის უფლებამოსილი პირის ვინაობა დადასტურებულია

დანართი 2 – ფეხბურთელის (დავით გოცირიძის) იჯარის/ტრანსფერის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ფეხბურთელის იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 15 თებერვალი, 2025 წ.

შპს "საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი" (ს/კ 204423454) (შემდგომში "დინამო"), მისი დირექტორის **ზაზა დოლიძის** სახით,

შპს „საფეხბურთო კლუბი გაგრა" (ს/კ 200112476) (შემდგომში "გაგრა") მისი დირექტორის **ვიქტორია დურგლიშვილის** სახით,

ფეხბურთელი დავით გოცირიძე (შემდგომში "ფეხბურთელი") (დაბადებული 06.09.2004წ. პირადი ნომერი 01024066519),

შემდგომში ერთად "მხარეები",

„ფეხბურთელს" გაფორმებული აქვს შრომითი კონტრაქტი „დინამოსთან" 01.01.2025-დან - 31.12.2028 -მდე.

„დინამო" წარმოადგენს „ფეხბურთელის" ეკონომიკური და ფედერაციული უფლებების ერთადერთ და უპირობო მესაკუთრეს.

„მხარეები" ვდებთ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანია ფეხბურთელ დავით გოცირიძის (დაბადებული 06.09.2004წ. პირადი ნომერი 01024066519),) უსასყიდლო იჯარა "დინამოდან" "გაგრაში" 2025 წლის 15 თებერვლიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე. (შემდგომში "იჯარის პერიოდი").

2. "დინამო" ვალდებულია ნება დართოს ფეხბურთელ დავით გოცირიძეს ითამაშოს "გაგრაში" 2025 წლის 15 თებერვლიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

3. "გაგრა" ვალდებულია გააფორმოს ფეხბურთელ დავით გოცირიძესთან პროფესიული შრომითი კონტრაქტი იჯარის პერიოდის ვადით (2025 წლის 15 თებერვლიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე).

4. იჯარის პერიოდში „ფეხბურთელის" ხელფასს იხდის „გაგრა" და „დინამო". ფეხბურთელის შრომითი ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა - „გაგრა" და „ფეხბურთელი" შეთანხმებით, ხოლო „დინამო" გადაუხდის „ფეხბურთელს" ყოველთვიურ ხელფასს, "დინამოსა" და "ფეხბურთელს" შორის დამატებით გაფორმებული შეთანხმების თანახმად.

5. იჯარის მოქმედების პერიოდში "გაგრას" უფლება არ აქვს მონაწილეობა მიაღებინოს ფეხბურთელს ს/კ „დინამო თბილისის" წინააღმდეგ გასამართ მატჩებში.

6. იმ შემთხვევაში თუ "ფეხბურთელი" იჯარის პერიოდის განმავლობაში მიიღებს სპორტულ ტრავმას ან სხვაგვარ ჯანმრთელობის დაზიანებას, რაც დაკავშირებული იქნება მის სპორტულ მოღვაწეობასთან "გაგრაში", "გაგრა" დაფარავს სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების ხარჯებს.

"გაგრა" ვალდებულია „ფეხბურთელის" ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მოახდინოს "დინამოს" სამედიცინო პერსონალის ინფორმირება. "ფეხბურთელთან" დაკავშირებით ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაციის/პროცედურის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება "დინამოს" სამედიცინო პერსონალთან შეთანხმებით.

7. "გაგრა" აღიარებს "დინამოს" საკონტრაქტო და სატრანსფერო უფლებებს, ფეხბურთელ დავით გოცირიძეზე.

8. თუ „დინამო" განახორციელებს „ფეხბურთელის" ტრანსფერს მესამე კლუბში, „გაგრა" „დინამოს" სასარგებლოდ თმობს თავის უფლებას მოითხოვოს „ფიფას ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების შესახებ" დებულების (training compensation under Article 20 and Annexe 4 of the FIFA Regulations on the Status and Transfer of Players (the "FIFA Regulations") and Solidarity Contribution, under Article 21 and Annex 5 of the FIFA Regulations), ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დადგენილი წვრთნისა და აღზრდის კომპენსაცია და სოლიდარობის გადასახადი, ასევე ნებისმიერი სხვა თანხის მოთხოვნის უფლებას ფეხბურთელ დავით გოცირიძესთან დაკავშირებით.

9.თუ „დინამო" 2026 წლის ზაფხულამდე განახორციელებს „ფეხბურთელის" ტრანსფერს სხვა კლუბში, „დინამო" გადაუხდის „გაგრას" აღნიშნული ტრანსფერიდან მიღებული სატრანსფერო თანხის 30 %-ს.

მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაჭრის წესი

10. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (შემდგომში „სფფ") სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სფფ-ს სააპელაციო კომიტეტში. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში"

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 404882409, მისამართი: ილ. ქავქავაძის გამზ., №76ა ლოკომოტივის სტადიონის სათადარიგო შესასვლელი), რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერ დავაზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობის და შეწყვეტის შესახებ.

დასკვნითი დებულებები

13. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ამ ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

15. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

16. ამ ხელშეკრულების და ფეხბურთელის რეგისტრაციას სფფ-ში ახორციელებს „გაგრა".

17. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს ხოლო ერთი ეგზემპლარი სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილებას.

"დინამო"

"FOOTBALL CLUB DINAMO TBILISI" LLC
204 423 454

დირექტორი

ზაზა დოლიძე

„გაგრა"

დირექტორი

ვიქტორია ფურგალიშვილი

"ფეხბურთელი"

დავით გოცირიძე

რეგისტრირებულია სფფ-ში

დანართი 3 - ფეხბურთელის (გია ნადარეიშვილის) იჯარის/ტრანსფერის ხელშეკრულება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

ხელშეკრულება

თბილისი **24.02.2025 წელი**

შპს საფეხბურთო კლუბი „გაგრა“ (ს/კ 200112476 შემდგომში **„მარეგისტრირებელი კლუბი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქ-ნ ვიქტორია დურგლიშვილის სახით,

მეორე მხრივ და შპს საფეხბურთო კლუიბი მარტვილის „მერანი“ (ს.კ 235446754 **,,გამწვრთნელი კლუბი“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ გიგა სურმავას სახით, და

მესამე მხრივ ა.(ა).ი.პ ,,მარტვილის საფეხბურთო სკოლა“ (ს/კ 435428084 შემდგომში **„გამწვრთნელი სკოლა“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ ჯესი სურმავას სახით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1: ხელშეკრულების საგანი

1.1 ფეხბურთელ გია ნადარეიშვილის (პ/ნ 62202016910 დაბადების თარიღი: 03.03.2005 წელი) გადასვლა საფეხბურთო კლუბ ,,გაგრა“–ში და პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმება.

1.2 პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმების ფარგლებში ,,მარეგისტრირებელ კლუბსა“, ,,გამწვრთნელ სკოლასა“ და ,, გამწვრთნელ კლუბს“ შორის საკომპენსაციო თანხის მრავალწლიანი ვალდებულებით გადახდის შესახებ შეთანხმება.

მუხლი 2: საკომპენსაციო წლების და თანხების დეტალური აღრიცხვა

წელი	ფეხბურთელის ასაკი	გამწვრთნელი ორგანიზაცია	მარეგისტრირებელი ორგანიზაცია	საკომპენსაციო თანხა (გამწვრთნელი და მარეგისტრირებელი გუნდების კატეგორიების შესაბამისად)	ჯამური თანხა
2018	13	IV-კატეგორია (საფეხბურთო სკოლა)		5000 ლარი	45.000 ლარი
2019	14	IV-კატეგორია (საფეხბურთო სკოლა)		5000 ლარი	
2020	15	IV-კატეგორია (საფეხბურთო სკოლა)		5000 ლარი	
2021	16	II-კატეგორია (კლუბი ,,მერანი“)		10.000 ლარი	
2022	17	II-კატეგორია (კლუბი ,,მერანი“)		10.000 ლარი	
2023	18	II-კატეგორია (კლუბი ,,მერანი“)		10.000 ლარი	
2024	19		I-კატეგორია (კლუბი ,,გაგრა“)		

(ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ 2025 წლის 31 იანვარს გაცემული ფეხბურთელის პასპორტი)

,,მარეგისტრირებელი კლუბი“ **,,გამწვრთნელი კლუბი“** **,,გამწვრთნელი სკოლა“**

მუხლი 3: ხელშეკრულების პირობები

3.1 ,,მარეგისტრირებელი კლუბი" აღიარებს ,,მარტვილის საფეხბურთო სკოლის" და საფეხბურთო კლუბ მარტვილის ,,მერანი"–ს საკომპენსაციო უფლებებს, მე–2 მუხლში დაფიქსირებული გაანგარიშების შესაბამისად და იღებს ვალდებულებას მრავალწლიანი გადახდის პირობებით მოახდენს ანგარიშწორებას.

3.2 მრავალწლიანი ვალდებულების უმთავრესი შეთანხმებაა ,,მარეგისტრირებელმა კლუბმა" ,,გამწვრთნელ სკოლასა" და ,,გამწვრთნელ კლუბს" წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით გადაუხადოს საკომპენსაციო დავალიანება.

2025 წელი: —— 10.000 ლარი
2026 წელი: —— 10.000 ლარი
2027 წელი: —— 10.000 ლარი
2028 წელი: —— 15.000 ლარი

3.3 ,,მარეგისტრირებელი კლუბი" უფლებამოსილია მისი სურვილისა და ფინანსური შესაძლებლობის შესაბამისად ერთჯერადად მოახდინოს დარჩენილი დავალიანების ანგარიშწორება.

3.4 ,,მარეგისტრირებელი კლუბი", ,,გამწვრთნელი სკოლა" და ,,გამწვრთნელი კლუბი" იტოვებენ უფლებამოსილებას, 2026 წლიდან განიხილონ დარჩენილი დავალიანების გადახდის განახლებული პირობებზე შეთანხმება, რომელიც შესაძლებელია იყოს ფეხბურთელის ,,მარეგისტრირებელი კლუბიდან" გასხვისების შემთხვევაში გარკვეული საპროცენტო განაკვეთი, ასევე მომდევნო წლის გეგმა გრაფიკით გადასახდელი თანხის ანგარიშწორების განხორციელება ,,გამწვრთნელი სკოლისა" თუ ,,გამწვრთნელი"კლუბის საბანკო ანგარიშზე და ა.შ.

3.5 ნებისმიერი დამატებითი შეთანხმება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით სამივე მხარის მიერ, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა.

3.6 სამივე მხარის შეთანხმებით ,,მარეგისტრირებელი კლუბი" ვალდებულია 2025 წელს მოახდინოს 10.000 (ათიათასი) ლარის ანგარიშწორება ფეხბურთელის ,,გამწვრთნელი კლუბის" მარტვილის საფეხბურთო კლუბ ,,მერანი"–ს საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4: ხელშეკრულების ვადები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 თუ ,,მარეგისტირებელი კლუბი" გადაწყვეტს ერთჯერადად წინსწრებით მოახდინოს დარჩენილი დავალიანების ანგარიშწორება, შესაბამისი თანხის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე ხელშეკრულება ჩაითვლება სრულად შესრულებულად.

,,მარეგისტრირებელი კლუბი"	,,გამწვრთნელი კლუბი"	,,გამწვრთნელი სკოლა"

მუხლი 5: მოქმედი სამართალი და დავების გადაწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

5.3 ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა განიხილება ფეხბურთის ფედერაციის წესდებით დადგენილი დავის გადამწყვეტი ორგანოს მიერ.

მუხლი 6: სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

6.2 ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით ან მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) იდენტურ ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს და მეოთხე ეგზემპლარი სფფ-ში სარეგისტრაციოდ წარსადგენად. მასში ნებისმიერი ცვლილება 3.5 მუხლის შესაბამისად ხორციელდება წერილობით და ასევე რეგისტრირდება სფფ-ში.

,,მარეგისტრირებელი კლუბი"	,,გამწვრთნელი კლუბი"	,,გამწვრთნელი სკოლა"

,,მარეგისტრირებელი კლუბი“

შპს საფეხბურთო კლუბი ,,გაგრა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200112476

მის: თბილისი ჭ.ლომთათიძის ქუჩა N–51

საკონტაქტო ტელეფონი: 598 41 28 12

ელ-ფოსტა: _____

ანგარიშის N

დირექტორი: ვიქტორია დურგლიშვილი

_____

,,გამწვრთნელი კლუბი“

შპს ,,საფეხბურთო კლუბი მარტვილის ,,მერანი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 235446754

მის: მარტვილი თბილისის ქუჩა N–7

საკონტაქტო ტელეფონი: 551 33 03 33

ელ-ფოსტა: Info@merani

ანგარიშის N **GE08TB7289336020100006**

დირექტორი: გიგა სურმავა

_____

,,გამწვრთნელი სკოლა“

ა.(ა).ი.პ ,,მარტვილის საფეხბურთო სკოლა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 235446754

მის: მარტვილი თავისუფლების ქუჩა N–10

საკონტაქტო ტელეფონი: 595 50 91 11

ელ-ფოსტა: Martvilissafexburtoskola@gmail.com

სახაზინო ანგარიშის N 747517509

დირექტორი: ჯესი სურმავა

_____

,,მარეგისტრირებელი კლუბი“ _____

,,გამწვრთნელი კლუბი“ _____

,,გამწვრთნელი სკოლა“ _____

დანართი 4 - გიორგი ბედიაშვილის სატრანსფერო შეთანხმება

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

სფფ-ს საჯარო დაწესებულება
"რეგისტრაცია"
№ 85714
"26" 08 2022 წ.

სატრანსფერო შეთანხმება

ერთის მხრივ, **შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი"** (ს/კ 204423454) (შემდგომში "დინამო") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაზა დოლიძის** სახით ,

მეორეს მხრივ, **შპს "საფეხბურთო კლუბი გაგრა"** (ს/კ 200112476) (შემდგომში „გაგრა") წარმოდგენილი მისი დირექტორის **გოდერძი ჩიხრაძის** სახით,

მესამე მხრივ, **პროფესიონალი ფეხბურთელი გიორგი ბედიაშვილი** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) (შემდგომში "ფეხბურთელი"), წარმოდგენილი მისი კანონიერი წარმომადგენლების მშობლების, ალექსანდრე ბედიაშვილის (პ/ნ 36001000283) და ლია ბედიაშვილის (პ/ნ 36001003558) სახით,

შემდგომში ერთად "მხარეები" ვდებთ წინამდებარე სატრანსფერო შეთანხმებას (შემდგომში "შეთანხმება") შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1 „დინამოსა" და პროფესიონალ ფეხბურთელს **გიორგი ბედიაშვილს** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) შორის გაფორმებულია მოქმედი შრომითი კონტრაქტი 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

1.2. ამ შეთანხმებით მხარეები 2022 წლის 20 ივლისიდან ახორციელებენ ფეხბურთელის ტრანსფერს (მუდმივ ტრანსფერს) "გაგრაში".

1.3. ამ შეთანხმების ხელმოწერისთანავე ფეხბურთელის სატრანსფერო და ეკონომიკური უფლებების მესაკუთრე გახდება „გაგრა".

1.4. ფეხბურთელი ეთანხმება მის რეგისტრაციას „დინამოდან" „გაგრაში".

1.5. „გაგრა" ვალდებულია გააფორმოს ფეხბურთელ გიორგი ბედიაშვილთან შრომითი კონტრაქტი.

2. სატრანსფერო თანხა და დამატებითი ფინანსური პირობები

2.1. „გაგრა" ვალდებულია გადაუხადოს „დინამოს" სატრანსფერო თანხა 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

2.2. „გაგრა" თმობს ფეხბურთელ **გიორგი ბედიაშვილის** (დაბ. 21.06.2005, პ/ნ 36101057584) მომავალი ტრანსფერიდან მუდმივი/ ან დროებითი გასხვისებიდან (იჯარა) მიღებული სატრანსფერო თანხის 30% (ოცდაათი) პროცენტს „დინამოს" სასარგებლოდ, რომლის გადახდას „გაგრა" განახორციელებს სატრანსფერო თანხის მესამე მხარის (სხვა კლუბის) მიერ „გაგრას" საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან 5 დღის ვადაში.

2.3. სატრანსფერო თანხა მოიცავს კანონით გათვალისწინებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს.

2.4. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, "დინამო" ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა დროულად მოხდეს „ფეხბურთელის" ტრანსფერი „გაგრაში", კერძოდ, მოთამაშე გაათავისუფლოს ყველა მისი საკონტრაქტო ვალდებულებისაგან.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი

3.1. მხარეებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და კისრულობენ ვალდებულებას სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

3.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სფფ-ს სადისციპლინო და საფეხბურთო დავების განმხილველი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სფფ-ს სააპელაციო კომიტეტში. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს „საფეხბურთო დავების განმხილველ სპორტულ ტრიბუნალში".

3.4. ხელმომწერი მხარეები აღიარებენ FIFA-ს, UEFA-ს და სფფ-ის დებულებებს და გადაწყვეტილებებს, ასევე სფფ-სთან არსებული საფეხბურთო დავების განმხილველი სპორტული არბიტრაჟისა და ლოზანაში მდებარე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) იურისდიქციებს.

4.. დასკვნითი დებულებები

4.1. ეს შეთანხება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

4.2. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ხოლო ერთი 1 ეგზემპლარი გადაეცემა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

თარიღი: 20.07.2022

„გაგრა"

დირექტორი

გოდერძი ჩიხრაძე

„ფეხბურთელი"

გიორგი ბედიაშვილი

„დინამო"

დირექტორი

ზაზა დოლიძე

კანონიერი წარმომადგენლები:

ალექსანდრე ბედიაშვილი

ლია ბედიაშვილი

დანართი 5 - გია ნადარეიშვილის სატრანსფერო ვალდებულების დაფარვის საგადახდო დავალება (2025 წლის 01 აპრილი)

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

საგადასახადო დავალება
Payment Order

1743518518 GEL

მიღების/შესრულების თარიღი: 2025-04-01
Receipt/Execution Date

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender		რეფერენსი / Ref. Num.
შპს საფეხბურთო კლუბი გაგრა, 200112476		15408652943
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE49TB7156636080100015	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	10000.0
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	თანხა სიტყვიერად Amount in words
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა **Information on a person on behalf of whom the payment is made**		ათიათასი ლარი და 00 თეთრი
დასახელება / Name		
საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code		გადარიცხვის საკომისიო Transfer Fee
მიმღები / Receiver		0.0GEL
შპს მერანი		
მიმღების ანგარიში / Receiver's Account	GE08TB7289336020100006	წარდგენის თარიღი Document Submission Date
მიმღების ბანკი / Receiver's Bank	ბანკის კოდი / Bank Code	2025-04-01
სს "თიბისი ბანკი"	TBCBGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details		
წრთვნის და აღზრდის კომპენსაცია გია ნადარეიშვილის(პნ 62202016910), ხელშეკრულება 24,02,2025		
დამატებითი ინფორმაცია / Additional Information		
		ხელმოწერა Signature

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოთხსენებულ ხელშეკრულებას

დასტურდება ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი
TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

დანართი 6 - შპს „საფეხბურთო კლუბი გაგრა“-სა და შპს „საფეხბურთო კლუბი მარტვილის მერანი“-ს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

მიღება ჩაბარების აქტი N–1

თბილისი **1.04.2025 წელი**

2025 წლის 24 თებერვალს შპს საფეხბურთო კლუბ „გაგრა“–ს, შპს საფეხბურთო კლუბ მარტვილის „მერანი“–ს და ა.(ა).ი.პ ,,მარტვილის საფეხბურთო სკოლა“–ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს საფეხბურთო კლუბი „გაგრა“–ს ჰქონდა ვალდებულება, ფეხბურთელ გია ნადარეიშვილთან (პ/ნ 62202016910 დაბადების თარიღი: 03.03.2005 წელი) დაკავშირებით, შპს საფეხბურთო კლუბ მარტვილის „მერანი“–სათვის 2025 წელს უნდა გადაეხადა 10.000 (ათიათასი) ლარი.

მიმდინარე წლის 1 აპრილს შპს საფეხბურთო კლუბი „გაგრა“–მ, შპს საფეხბურთო კლუბ მარტვილის „მერანს“ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაუხადა 10.000 (ათი ათასი) ლარი.

აღნიშნული ფაქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით.

შპს საფეხბურთო კლუბი ,,გაგრა“	**შპს ,,საფეხბურთო კლუბი მარტვილის ,,მერანი“**
დირექტორი: ვიქტორია ფურგლიშვილი	დირექტორი: გიგა სურმავა

ა.(ა).ი.პ ,,მარტვილის საფეხბურთო სკოლა“

დირექტორი: ჯესი სურმავა

დანართი 7 - ცნობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან სხვა კლუბების მიმართ სატრანფერო დავალიანების შესახებ დათარიღებული 2026 წლის 17 თებერვლით

განზრახ გამოტოვებული გვერდი დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

№79
17.02.2026

ცნობა

ეძლევა ს.კ. „გაგრას“ მასზედ, რომ სფფ-ისთვის ცნობილი არ არის თანამშრომლების მიმართ სახელფასო დავალიანებების შესახებ და სხვა კლუბების მიმართ სატრანსფერო დავალიანებების და დავების არსებობის შესახებ.

ცნობა ეძლევა კლუბების ლიცენზირების განყოფილებაში წარსადგენად.

რევაზ შენგელია
გენერალური სამდივნოს უფროსი